დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | არასაცხოვრებელი ფართი N5 (-1 სართული, 137,30 მ2) და 2. არასაცხოვრებელი ფართი N6 (1 სართული, 137,30 მ2). ეს ფართი არის შპს „ინგლიშ ბუქ ედუქეიშენის“ (ს/კ 205216023) საკუთრებაში (ამავე შპს-ს საკუთრებაშია შპს ოქლიფის სკოლაც (100% წილი, დანართი N2 - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან). შპს „ინგლიშ ბუქ ედუქეიშენმა“ (ს/კ 205216023) მისი კუთვნილი ფართი გადასცა ქვემეიჯარეს - შპს „Unique Learnings” (ს/კ 404921545), თავის მხრივ შპს „Unique Learning”-მა გადასცა ფართი ქვემოიჯარეს „ოქლიფის სკოლას“ (დანართი N3 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, დანართი N4 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, დანართი N5 - 07.07.2021წ ქვეიჯარის ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები (დანართი N6 - დამატებითი შეთანხმება 23.08.2021)). ცვლილებები ეხებოდა იჯარის თანხას. ეს ცვლილებები ასახულია საჯარო რეესტრში. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

| | |
|---|---|
| | მიუხედავად იმისა, რომ საჯარო რეესტრში ფართი არის დაფიქსირებული, როგორც -1 და 1 სართული, რეალობაში შენობა ორ სართულიანია, პირველი სართული - მიწის პირზეა.<br><br>იჯარის ხელშეკრულების თანახმად, ფართი სკოლას გადაეცემა 2030 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამ ხელშეკრულების 1.5 მუხლის თანახმად „შპს „ოქლიფის სკოლის" მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების პარალელურად, სკოლისგან თავისუფალ დროსა და სივრცეში (მხოლოდ სასკოლო სასწავლო გეგმით და გაკვეთილების ცხრილით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ან/და სკოლისათვის უქმე და დასვენების დღეებში) განხორციელდება შპს „Unique Learnings"-ის მიერ უცხო ენათა ცენტრის ფუნქციონირება. სკოლის დირექტორის 20.08.2021 წ. ბრძანება-ის №02-08 თანახმად მოხდა ამ თავისუფალი დროის განსაზღვრა. კერძოდ: 2021 წლის 7 ივლისს შპს „Unique Learning"-სა და შპს „ოქლიფის სკოლას" შორის გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ქვემეიჯარის მიერ შპს „ოქლიფის სკოლისათვის" გადაცემული ფართით |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სარგებლობას სასწავლო პროცესისაგან თავისუფალ დროს, „შპს „Unique Learning"-ის სარგებლობის საათები განისაზღვროს შემდეგი სახით: ორშაბა-თიდან პარასკევის ჩათვლით 19:00 საათიდან 23:00 საათამდე, შაბათ დღეს 15:00 საათის შემდეგ, სრული კვირა დღე." |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N33ა, არასაცხოვრებელი ფართი N5 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | N 01.14.14.012.003.01.502 და N 01.14.14.012.003.01.501 |
| *კვ.მ.* | 274,6 მ2 |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • დანართი N2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;<br>• დანართი N3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>• დანართი N4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>• დანართი N5. 07.07.2021წ. ქვეიჯარის ხელშეკრულება;<br>• დანართი N6. დამატებითი შეთანხმება 23.08.2021;<br>• სკოლის დირექტორის 20.08.2021 წ. ბრძანება №02-08;<br>• აზომვითი ნახაზი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობა ორსართულიანია. -1 სართულზე განლაგებულია 1 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სამასწავლებლო, სამედიცინო ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისათვის, კანცელარია. 1 სართულზე განლაგებულია 4 საკლასო ოთა-ხი, ბიბლიოთეკა, ორი სველი წერტილი. საკლასო ოთახების რაოდენობა ჯამში არის 5. თითოე-ულ საკლასო ოთახში ბუნებრივი განათებაა, კლასებში განლაგებულია ინდივიდუალური მერხები და სკამები, ლეპტოპი, პროექტორი, მასწავლებლის მაგიდა, დაფა. სულ სკოლას აქვს 61 ინდივიდუალური მერხი და სკამი მოსწავლეებისათვის. სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობაა 60, თუმცა ექსპერტთა შეფასებით, სკოლის რესურსიდან |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გამომდინარე, მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა, რომლის გამტარუნარიანიც არის შენობა 50 მოსწავლეა, რასაც დაეთანხმა სკოლის ადმინისტრაციაც. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ინტერვიუ სკოლის დირექტორთან;<br>• მიღება ჩაბარების აქტები;<br>• შპს „ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ“ პარტნიორის გადაწყვეტილება კაპიტალში შენატანის განხორციელების შესახებ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ოქლიფის სკოლას“ სპორტის სახეობებიდან არჩეული აქვს ფეხბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი. სპორტული მოედანი, აუზი ან დარბაზი სკოლას არ გააჩნია. სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების დაკმაყოფილების და მოსწავლეებისათვის სრულყოფილი სპორტული |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სერვისის შეთავაზების მიზნით შპს „ოქლიფის სკოლას“ გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეთან (შემდეგში მომსახურების გამწევი). ხელშეკრულების მიხედვით- მომსახურების გამწევი უზრუნველყოფს მომსახურების მიმღებისათვის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის საგანმანათ-ლებლო, სამეცნიერო, საგამოცდო, მხატვრული, სანახაობრივი, სპორტული ღონისძიებების ორგანიზების პროცედურის განსაზღვრისა და მომსახურეობების სახეობების განსაზღვრის შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 30 მარტის N31/02-01 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი პაკეტით მომსახურების გაწევას სპორტის საგანში დაგეგმილი აქტივობების განხორციელების მიზნით უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის ეზოში განთავსებული ღია სპორტული მოედნით შემდეგი პირობებით: 2021 წლის 15 სექტემბრიდან 2021 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით-ყოველი კვირის შაბათ დღეს, 10:00 საათიდან - 14:00 საათამდე. 2022 წლის -15 იანვრიდან 2022 წლის 15 ივნისის ჩათვლით - ყოველი კვირის შაბათ დღეს 10:00 საათიდან -14:00 საათამდე. 2022 წლის 15 სექტემბრიდან 2023 წლის 15 თებერვლის ჩათვლით -ყოველი კვირის შაბათ დღეს 10:00 საათიდან-14:00 საათამდე. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის დირექტორმა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა განმარტება ექსპერტთა ჯგუფის სახელზე, რომლის თანახმადაც სკოლა კვლავ აწარმოებს მოლაპარაკებას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან უამინდობის შემთხვევაში დახურული დარბაზით სარგებლობის თაობაზე. უნვერსიტეტიდან აღნიშნულზე ზეპირი თანხმობა მიღებულია და უახლოეს მომავალში გეგმავენ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას. (დანართი N7 - სკოლის დირექტორის განმარტება)<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმით სპორტის გაკვეთილები გაწერილია შაბათ დღეს. სპორტის საგაკვეთილო პროცესის უსაფრთხოდ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად შპს „ოქლიფის სკოლის“ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სპორტის მასწავლებელი, რომელიც ვალდებულია, უსაფრთხოების მიზნით: ა) გაკვეთილის დაწყებამდე 10 წუთით ადრე გამოცხადდეს სპორტულ მოედანზე; ბ) შეამოწმოს მოედანი უსაფრთხოების პრევენციის მიზნით; გ) გაკვეთილზე მოსწავლის დაგვიანების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და დაადგინოს გამოუცხადებლობის მიზეზი, დ) სპორტული აქტივობებისას მოსწავლის დაზიანების შემთხვევაში, დროულად მოახდინოს |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

| | |
|---|---|
| | სიტუაციის პირველადი მართვა, დაუკავშირდეს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური.<br><br>სკოლას სპორტული ინვენტარი - სპორტის შესაბამისი სახეობის ბურთები შეძენილი აქვს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს ოქლიფის სკოლის დირექტორის ბრძანება №02-10 „სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სპორტის საგნის სწავლების ორგანიზებული უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“;<br>• მომსახურების ხელშეკრულება N525/08 გაფორმებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან;<br>• დანართი N7. სკოლის დირექტორის განმარტება;<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• ინტერვიუ სკოლის დირექტორთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორია განთვსებული აქვს -1 სართულზე სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი გზით. ლაბორატორიაში არის სპეციალური მაგიდა ორი სველი წერტილით, დაცული კარადა რეაქტივებისათვის, კარადები და სტენდები სადაც ინახება ლაბორატორიის სრული კომპლექტი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ინტერვიუ სკოლის დირექტორთან;<br>• ინტერვიუ ქიმიის მასწავლებელთან;<br>• მიღება ჩაბარების აქტები;<br>• ხელშეკრულება და მიღება ჩაბარების აქტი შპს ინსტა ჯორჯიასთან;<br>• შპს „ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ“ პარტნიორის გადაწყვეტილება კაპიტალში შენატანის განხორციელების შესახებ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

<table>
<tr><td colspan="2">2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები</td></tr>
<tr><td>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</td><td>სკოლას ელექტროენერგია მიეწოდება უწყვეტ რეჟიმში. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. შენობის ორივე სართულზე განლაგებულია ინდივიდუალური სველი წერტილები. 1 სართულზე გოგონებისათვის და ვაჟებისათვის. -1 სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისათვის. სანიტარულ-ჰიგიენური პირობები სკოლაში დაცულია.<br><br>სკოლა გათბობისათვის დამონტაჟებულია ავტონომური გათბობის სისტემა. სკოლაში არის 3 კონდიციონერი. გათბობის ქვაბი დამონტაჟებულია შენობის გარეთ.</td></tr>
<tr><td>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</td><td>• საგადახდო დავალებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• შპს „ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ“ პარტნიორის გადაწყვეტილება კაპიტალში შენატანის განხორციელების შესახებ.</td></tr>
<tr><td>შეფასება:</td><td>☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია</td></tr>
</table>



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის 1 სართულზე. სკოლის წიგნადი ფონდი შეადგენს ჯამში 143 ერთეულს, მათ შორის:<br>• 41 ერთეული გრიფირებული სახელმძღვანელო;<br>• 2 კოპირებული ეგზემპლარი სახელმძღვანელო „საგზაო წესები და მოძრაობის უსაფრთხოება“სა და „სამოქალაქო თვდაცვა და უსაფრთხოებაში“;<br>• 2 სახელმძღანელო არჩევითი საგნებისათვის;<br>• 3 ერთეული გერმანულენოვანი დამხმარე სახელმძღვანელო და ტესტების კრებული;<br>• 3 სამუშაო რვეული რუსულ ენაში;<br>• 14 ერთეული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დისციპლინებისათვის დამხმარე სახელმძღვანელო და ამოცანათა კრებული;<br>• 63 ერთეული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო, რომელიც გამოიყენება დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების, „ბიზნესის კურსი“ და „სოციალური მეცნიერებები“ სწავლებისათვის ; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

| | |
|---|---|
| | • 13 ერთეული კლასიკური ნაწარმოები ქართულ ენაზე;<br>• 2 ერთეული -მენდელეევის ელემენტების პერიოდულობის სისტემა.<br><br>წიგნები დამოწმებული სკოლის ბეჭდით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. წიგნები თაროებზე განლაგებულია თემატურად. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. განსაზღვრულია მუშაობის საათები. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობას ახორციელებს ბიბლიოთეკის დებულების და წლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად.<br><br>ბიბლიოთეკაში არის ლეპტოპი, რომელიც საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია მოძიებული იქნას ინტერნეტ წყაროებიდან, მოხდეს საჭირო მასალის ქსეროასლის დამზადება და მიწოდება მომხმარებლისათვის.<br><br>ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.<br><br>სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ი/მ „თამარ ხახუტაიშვილთან“ (შემდეგში - დამკვეთი), რომლის საფუძველზეც დამკვეთმა მოახდინა დამკვეთის სერვერზე ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „OpenBiblio“-ს დაინსტალირება. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სისტემის მოხმარების შესახებ სკოლის თანამშრომლების ტრენინგს და საჭიროების შემთხვევაში შემდგომ კონსულტაციებს.<br><br>ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი, რომელშიც შეტანილია სკოლის წიგნადი ფონდი და წარმოებს მკითხველთა აღრიცხვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ინვოისები;<br>• ჩუქების აქტი;<br>• მიღება-ჩაბარების აქტი;<br>• სკოლის დებულება, მუხლი 21;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• სკოლის დირექტორის 07.07.2021 წ. ბრძანება № 02-07 (ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცე-ბის შესახებ);<br>• შპს „ოქლიფის სკოლასა“ და ი/მ „თამარ ხახუტაიშვილს“ შორის 2021 წლის 26 ივლისს გაფორმებული №2021-7/26 ხელშეკრულება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა ზრუნავს, რომ ფიზიკური გარემო ადაპტირებული იყოს იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც გადასაადგილებლად სჭირდებათ ეტლით სარგებლობა. ამისათვის სკოლას შენობის შესასვლელში დამონტაჟებული აქვს პანდუსი. ასევე სართულიდან სართულზე ასასვლელ კიბეზე მიმაგრებულია მოძრავი პანდუსი, რომლის გამოყენების აუცილებლობაც ამ ეტაპზე არ არის. -1 სართულზე არის შესაბამისად მოწყობილი/ადაპტირებული სველი წერტილი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• შპს „ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ" პარტნიორის გადაწყვეტილება კაპიტალში შენატანის განხორციელების შესახებ;<br>• ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მთელ ტერიტორიაზე არის ინტერნეტი, რომლითაც სარგებლობა შეუძლია ყველას (მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, თანამშრომლებს,..). კომპიუტერულ და საკანცელარიო ტექნიკას ემსახურება საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი.<br><br>სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. კერძოდ სკოლას აქვს 9 ლეპტოპი და 19 პერსონალური კომპიუტერი (მათგან ადმინისტრაციისათვის განკუთვნილია 9 პერსონალური კომპიუტერი და 1 ლეპტოპი), 6 პროექტორი (რომელთაგან 5 დამონტაჟებულია საკლასო ოთახებში), 3 პრინტერი (მათ შორის 2 მულტიფუნქციური). აღნიშნული აღჭურვილობა სკოლას საკუთრებაში აქვს გადაცემული - შპს „ინგლიშ ბუქ ედუქეიშენისგან“ კაპიტალში შენატანის განხორციელების ფორმით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას აქვს ორენოვანი (ქართული და ინგლისური) ვებგვერდი, რომლის მისამართია https://oakleaf.ge. ვებგვერდის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირია - მედია მენეჯერი.<br><br>ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის ისტორიის, მისიის, მიზნების და ღირებულებების, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების, პროგრამების შესახებ. ვებგვერდზე არის ჩაშენებული ელექტრონული ჟურნალი და პორტალები მშობლებისათვის და მოსწავლეებისათვის. ვებგვერდი იძლევა ორმხრივი კომუნიკაციის საშუალებას. სკოლის ვებგვერდის მართვა დავალებული აქვს სოციალურ მედია მენეჯერს.<br><br>სკოლას აქვს ასევე სოციალური გვერდი Oakleaf-School.<br><br>ინტერნეტპროვაიდერია შპს მაგტიკომი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• შპს „ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ“ პარტნიორის გადაწყვეტილება კაპიტალში შენატანის განხორციელების შესახებ;<br>• მიღება ჩაბარების აქტები; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შრომითი ხელშეკრულებები მედია მენეჯერთან და საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერთან;<br>• ინტერვიურება;<br>• სკოლის ვებგვერდი https://oakleaf.ge . |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი |

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში განთავსებულია ცეცხლმაქრები საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში . (სულ 4 ცეცხლმაქრი).<br><br>სკოლას სტრუქტურით განსაზღვრული ჰყავს დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერი. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ საქართველოს |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ორგანული კანონით „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ განსაზღვრულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტსთან. ხელშეკრულების თანახმად - მომსახურების გამწევი წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონით „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ განსაზღვრულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს და მომსახურების მიმღების დაკვეთით, განსაზღვრავს სკოლაში ძირითად მოთხოვნებსა და პრევენციული ღონისძიებების ზოგად პრინციპებს-რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.<br><br>გარდა ამ ფუნქციებისა, დასაქმებული უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სკოლის დებუ-ლებით განსაზღვრული დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად. კერძოდ,<br><br>ა) პასუხისმგებელია სკოლაში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და სახანძრო უსაფრთხოების პირობების დაგეგმვასა და განხორციელებაზე; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბ) აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს სკოლის პერსონალთან და მოსწავლეებთან, სკოლაში უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით;<br>გ) აწარმოებს სკოლის შენობის და ინვენტარის ყოველდღიურ დათვალიერებას;<br>დ) შეისწავლის სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ფუნქციონირების წესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი უსაფრთხო გამოყენების მიზნით;<br>და სხვა |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ოქლიფის სკოლის დებულება, მუხლი 22<br>• მომსახურეობის ხელშეკრულება გაფორებული გ.გ-სთან<br>• ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობის ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა.<br><br>საევაკუაციო გეგმა შემუშავებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი-სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირი-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• საგადახდო დავალება;<br>• ხელშეკრულება N-073/07 მომსახურების გაწევის შესახებ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას გამოყოფილი აქვს ოთახი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის. ოთახი აღჭურვილია სამედიცინო ტახტით, სამედიცინო კარადით, მაცივრით, შესაბამისი ინვენტარით და მედიკამენტებით. სკოლას შერჩეული ჰყავს ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება.<br><br>„შპს ოქლიფის სკოლის დებულებაში“ 24-ე მუხლში გაწერილია სკოლის ექიმის მოვალეობები. ამ მუხლში სკოლის დირექტორის, ბრძანება №02-011 შეტანილია ცვლილებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სკოლის დებულება (მუხლი 24);<br>• შესაბამისი ინვენტარის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• მედიკამენტების ყიდვის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>• დირექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №02-011 ;<br>• ინტერვიურება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ოქლიფის სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად შემუშავებული, სამინისტროსთან შეთანხმებული და დამტკიცებული აქვს „ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება დისციპლინისა და უსაფ-რთხოების მენეჯერთან, რომელიც მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობებთან ერთად აღრიცხავს მოსწავლეთა და უცხო პირთა სკოლაში შემოსვლას და სკოლიდან გასვლას. აკონტროლებს მოსწავლეების მხრიდან დისციპლინის დაცვას სკოლაში, ახდენს კონფლიქტური სიტუაციების პრევენციას.<br><br>სკოლას განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განმახორციელებელი პირები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 14 სექტემბრის წერილი N MES 3 20 0000827883 "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებისა და პირობების" პროექტის შეთანხმების თაობაზე;<br>• სკოლის დებულება მუხლი 22;<br>• მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულიდისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი, სადაც ორი გარე კამერაა დამონტაჟებული. დამონტაჟებული კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.<br><br>სკოლის შიდა პერიმეტრი კონტროლდება შენობის ორივე სართულზე დამონტაჟებული სამი კამერით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასაქონლო ზედნადებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• შპს „ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ“ პარტნიორის გადაწყვეტილება კაპიტალში შენატანის განხორციელების შესახებ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ოქლიფის სკოლა“-ს შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, დებულება და საქმისწარმოების წესი. შინაგანაწესი დამტკიცებულია 2021წლის 1 ივლისის დირექტორის N02-01 ბრძანებით.<br><br>შინაგანაწესი შედგება 33 მუხლისაგან. შინაგანაწესის მოქმედება ვრცელდება დაწესებულებასთან შრომით სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ ყველა პირზე, აგრეთვე, სკოლის მოსწავლეებზე და მშობლებზე.<br><br>შინაგანაწესში გაწერილია დისკრიმინაციის დაუშვებლობა, დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლები, მასწავლებელთა სამუშაოზე მიღების წესი, სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომელთა სამუშაოზე აყვანის წესი, თანამშრომლის პირადი საქმეების წარმოების წესი, დაწესებულების პერსონალისტვის მოქმედი ზოგადი ეთიკური ნორმები; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; წახალისების ფორმები; დისციპლინური წარმოება, გადაცდომა და მისთვის გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები და სხვა. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას შემუშავებული აქვს დებულება დებულება შედგება 44 მუხლისგან. რომლებიც მოიცავს სკოლის სტატუსსა და საქმიანობის საგანს, მიზანს, სკოლის სტრუქტურასა და მართვას, სტრუქტურით განსაზღვრული თანამშრომლების ძირითდ ვალდებულებებს, მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა ძირითდ უფლებებსა და თავისუფლებებს, სასწავლო პროცესის ორგანიზების წესს და გარდამავალ დებულებებს. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს ოქლიფის სკოლის დირექტორის 2021 წლის 1 ივლისის ბრძანება N02-01 „შპს ოქლიფის სკოლის დებულების“, „შპს ოქლიფის სკოლის შინაგანაწესის“, „შპს ოქლიფის სკოლის საქმისწარმოების წესის“, შპს ოქლიფის სკოლის ბლანკების და ბეჭდის ნიმუშების დამტკიცების შესახებ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შემუშავებულია SWOT - ანალიზი, სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.<br><br>SWOT - ანალიზის შესაბამისად სკოლას მიაჩნია ძლიერ მხარეებად:<br>• კარგი პარტნიორული ურთიერთობები წამყვან საერთაშორისო, კერძოდ, ბრიტანულ სკოლებთან.<br>• აკადემიური აფილაციის შესახებ ხელშეკრულება - რაც შესაძლებლობას აძლევს სკოლის კურსდამთავრებულს, სწავლა განაგრძოს დიდ ბრიტანეთში.<br>• სკოლის მასწავლებლების მაღალი კვალიფიკაცია სამუშაო ამოცანების შესასრულებლად.<br>• სკოლის უწყვეტი საქმიანობისთვის საჭირო ფინანსური რესურსების არსებობა.<br>• ახალი მატერიალურ-ტექნიკური გარემოს არსებობა.<br>• საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობა.<br>• მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, მათ საჭიროებებზე მორგებული დიფერენცირე-ბული პროგრამების შეთავაზების შესაძლებლობა. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას საფრთხეებად მიაჩნია:<br>• საქართველოში პოლიტიკური და სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა.<br>• მაღალკვალიფიციური უცხოელი პერსონალის მცირე რაოდენობა საქართველოში.<br>• სკოლის შესახებ დაბალი ცნობადობა სამიზნე ჯგუფებში.<br>• COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი<br>სკოლის აზრით, შესაძლებლობებია:<br>• სწავლების და მართვის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სახელმწიფოს მხარდამჭერი პოლიტიკა.<br>• საერთაშორისო კონტაქტების გამოყენებით მოსწავლეთა საზაფხულო სკოლებში და სხვა სახის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა.<br>• მზარდი მოთხოვნა ინგლისურენოვან სასაკოლო განათლების პროგრამებზე, მათ შორის ქართველი მოსწავლეების მხრიდან.<br>სუსტ მხარეებათ მიაჩნიათ:<br>• კვლევითი პროექტების განხორციელების გამოცდილების ნაკლებობა.<br>• სკოლის მართვის სისტემაში ელექტრონული მექანიზმების სიმწირე. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

<table>
<tr>
<td></td>
<td>
<ul>
<li>საკუთარი სპორტული ინფრასტრუქტურის არქონა.</li>
<li>სკოლის კონტინგენტის (პოტენციური მოსწავლეების) შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის დეფიციტი და შესაბამისად, ამ ეტაპზე ერთგვაროვანი, არადიფერენცირებული პროგრამის შეთავაზება.</li>
</ul>
სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2021-2022 ს/წ) და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა (2021 – 2027 წწ). სტრატეგიულ მიზნებათ სკოლას მიაჩნია:
<ol>
<li>ორგანიზაციული განვითარება</li>
<li>ინფრასტრუქტურის განვითარება</li>
<li>ხარისხის განვითარება</li>
<li>სწავლების და მართვის ინტერნაციონალიზაცია</li>
<li>საზოგადოებასთან თანამშრომლობა, ცნობადობის შექმნა და გაზრდა</li>
</ol>
ეს მიზნები დეტალურად არის აღწერილი ამოცანებში, გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს
</td>
</tr>
<tr>
<td>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</td>
<td>
<ul>
<li>SWOT - ანალიზი;</li>
<li>სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა;</li>
</ul>
</td>
</tr>
</table>



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედ გეგმა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აქვს დამტკიცებული ბეჭდის და ტიტულის ფორმები.<br><br>სკოლა აწარმოებს 9 ჟურნალს. სკოლამ წარმოადგინა:<br><br>1. შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი<br>2. გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი<br>3. ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი<br>4. ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი (მოსწავლეებისათვის)<br>5. საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 6. საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი<br>7. შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი<br>8. ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი (მასწავლებლებისათვის და თანამშრომლებისათვის)<br>9. შიდა მიმოწერის აღრიცხვის ჟურნალი.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც შეიცავს შემდეგ თავებს:<br>• სკოლაში ოფიციალური კორესპოდენციის მიღების წესი<br>• რეგისტრაციის ჟურნალები და დოკუმენტებზე ინდექსის მინიჭების წესი<br>• დირექტორის ბრძანებები და მათი რეგისტრაციაში გატარების წესი<br>• ბრძანების ამონაწერი<br>• შემოსული კორესპოდენცია და მისი რეგისტრაციაში გატარების წესი<br>• შემოსული კორესპონდენციის განხილვის და მასზე პასუხის მომზადების, ასევე სხვა წერილების მომზადების წესი<br>• გასული კორესპოდენციის რეგისტრაციაში გატარების წესი<br>• ხელშეკრულები და მათი აღრიცხვის წესი<br>• კოლეგიური ორგანოების ოქმების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი<br>• მოსწავლეების შესახებ გაცემული ცნობების რეგისტრაციის ჟურნალი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების შესახებ გაცემული ცნობების რეგისტრაციის ჟურნალი<br>• შიდა მიმოწერა<br><br>დეტალურად არის გაწერილი გაცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების წესი;<br>• გაცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები;<br>• შპს ოქლიფის სკოლის დირექტორის 2021 წლის 1 ივლისის ბრძანება N02-01 „შპს ოქლიფის სკოლის დებულების“, „შპს ოქლიფის სკოლის შინაგანაწესის“, „შპს ოქლიფის სკოლის საქმისწარმოების წესის“ და შპს ოქლიფის სკოლის ბლანკების და ბეჭდის ნიმუშების დამტკიცების შესახებ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმას ახორციელებს 12 პედაგოგით. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავს სკოლის ადმინისტრაცია და სხვა პერსონალი- 11 თანამშრომელი (მათ შორის დირექტორი, დირექტორის მოადგილე საოპერაციო მიმართულებით, დირექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით, IFG პროგრამის კოორდინატორი, სოციალური მედია მენეჯერი, ინფრასტრუქტურის მენეჯერი, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი, ბუღალტერი, ექიმი, საქმისმწარმოებელი, რომელსაც შეთავსებული აქვს ბიბლიოთეკის მენეჯერის თანამდებობა, ადმინისტრაციული მენეჯერი).<br><br>**ვაკანტურია**: ხარისხი, იურისტი, დისციპლინისა და უსაფრთხოების მენეჯერი. თუმცა, ამ პოზიციებზე გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები. ასევე, სკოლას საშტატო განრიგში |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | არა აქვს გათვალისწინებული, მაგრამ მომსახურების ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს კონსულტანტი ფსიქოლოგი, რომელიც ასევე არის ინკლუზიური განათლების კონსულტანტი.<br><br>სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • თანამრომელთა პირადი საქმეები;<br>• პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• 2021-2022 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა;<br>• ინტერვიურება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ |
|---|



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 12 |
| მოწვეული/მაძიებელი | 4 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 1 (საგანი ჩაბარებული აქვს და გადის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსს). |
| უფროსი მასწავლებლი | 5 |
| წამყვანი მასწავლებლი | 1 |
| მენტორის სტატუსი | 1 |

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში პედაგოგები შერჩეული არიან სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაცია, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეესაბამება საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლას ჰყავს 1 მენტორი, 1 წამყვანი, 9 (ცხრა) უფროსი და 1 პრაქტიკოსი მასწავლებელი („მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მე-13 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: 2023 წლის ბოლომდე, მასწავლებლად მუშაობის დაწყების უფლება აქვს აგრეთვე ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა ჩააბაროს საგნის გამოცდა და გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი. ამჟამად უკვე ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა და გადის შესაბამის დისტანციურ კურსს) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • პირადი საქმეები;<br>• ინტერვიურება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• ინტერვიურება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის დირექტორს სკოლის ყველა მასწავლებელთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული აქვს შრომითი და მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც შედგება შემდეგი სახის პუნქტებისაგან: ხელშეკრულების საგანი, დასაქმებულის დატვირთვა და სამუშაოს შესრულების ადგილი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზღაურება, კონფიდენციალობა, შვებულების ხანგრძლივობა და სარგებლობის წესი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შრომითი ურიერთობის ხანგრძლივობა და ხელშეკრეულების შეწყვეტის წესი, დასკვნითი დებულება, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები, ასევე, მომსახურების შემთხვევაში მომსახურების ღირებულება, ანგარიშწესი, პრეტენზიები, შესასრულებელი სამუშაო, ვადა, დავები, ცვლილებები და დამატებები. აღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმებულია როგორც შესასრულებელი სამუშაოსათვის წინასწარ განსაზღვრული და შეთანხმებული ვადით, ისე ერთწლიანი, რომელიც დამატებით ყოველ წელს გაფორმდება მხარეთა შორის შეთანხმებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ინტერვიურება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა სკოლის მასწავლებლების მაღალი კვალიფიკაცია სამუშაო ამოცანების შესასრულებლად. კერძოდ ერთი მხრივ, საკუთარი საქმიანობისა და სწავლა/სწავ-ლების პროცესის მუდმივ მონიტორინგზე//შეფასებაზე ორიენტირება და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა, მეორე მხრივ, კი მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა აქტივობისა და მეთოდის განსაზღვრა.<br>სტრატეგიულ გეგმაში სკოლის ადმინისტრაციას პრიორიტეტად გაწერილი აქვს წლის განმავლობაში სასწავლო პროცესზე დაკვირვების სხვადასხვა აქტივობა (კვლევების ჩატარება მოსწავლეების, მშობელთა, მასწავლებელთა საჭიროებების დაადგენა), მათ შორის მასწავლებელთა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ურთიერთდასწრება. ამ აქტივობათა შორის არის გაკვეთილზე დაკვირვება და მონიტორინგი. გაკვეთლზე დაკვირვების პროცესი მოიცავს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით გაკვეთილის პროცესისა და მასწავლებლის შეფასებას, მისი ძლიერი და სუსტი მხარის გამოვლენას, დასკვნასა და რეკომენდაციების განსაზღვრას. შესაბამისად, დაკვირვების შედეგად იკვეთება მასწავლებლის საჭიროებები რეკომენდაციის სახით, რაც ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის საწინდარია.<br>სასწავლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში და ანალიზი სკოლის ადმინისტრაციას მისცემს საშუალებას განაახლოს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექა-ნიზმები და გაუმკლავდეს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა;<br>• სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასების და გაუმჯობესების-მექანიზმი;<br>• მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის თვითშეფასების, რეფლექსიისა თუ საჭიროებების დადგენის კითხვარები;<br>• ინტერვიურება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. სკოლის შინაგანაწესი, რომლითაც სკოლა იმოქმედებს, თითოეულ თანამშრომელს შესაძლებლობას შეუქმნის, მაქსიმალურად ხარისხიანად გამოვლენოს საკუთარი შესაძლებლობები. მასწავლებ-ლები გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას; წინასწავრ განსაზღვრულია ურთიერთდასწრებისა და შესაძლებლობების გამოვლენის აქტივობებისასკოლო სასწავლო გეგმაში დამატებით გამახვილებულია ყურადღება სასკოლო კულტურაზე, სადაც მასწავლებლები საკუთარ მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, თვითრეფლექსიითა და „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის ამოქმედებით შეძლებენ გააუმჯობესონ საკუთარი პროფესიული უნარები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება და სკოლის წარმატება. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თანამშრომლობითი კულტურა ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის დელეგირებას სკოლასა და მის თითოეულ ფაქტორზე. სკოლა საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტებისა და აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით) საშუალებით ხელს შეუწყობს ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა; სკოლის ფასეულობებია სკოლის საზოგადოების წევრებისათვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა, მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარება და სამოქალაქო ჩართულობა, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაფასება, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და უსაფრთხოების დაცვა, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლება, სამეწარმეო უნარების განვითარება და ინიციატივების წახალისება.<br>სკოლის წარმომადგენლების განაცხადით სკოლაში 2021-2022 სასწავლო წელს იგეგმება სხვადასხვა პროექტი და ღონისძიება, რომელთა განხორციელებაში მაქსიმალურად იქნებიან ჩართული სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, მასწავლებლები. სკოლა ასევე წაახალისებს მოსწავლეთა ინიციატივებს, ასევე, მათი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინტერესებიდან გამომდინარე, დამატებით სხვა ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელებას, საჭიროების/დასაბუთების შემთხვევაში მოსწავლეთა ინიციატივების ფინანსურ მხარდაჭერასაც. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ინტერვიურება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## X. თანდართული დოკუმენტაცია

1. დანართი N1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი
2. დანართი N2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან
3. დანართი N3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

4. დანართი N4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
5. დანართი N5. 07.07.2021წ. ქვეიჯარის ხელშეკრულება
6. დანართი N6. დამატებითი შეთანხმება 23.08.2021
7. დანართი N7. სკოლის დირექტორის განმარტება

თბილისი 16 სექტემბერი, 2021 წელი.



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა: 83



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.